ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1182570

ნომერი: AR1199620

თარიღი : 25.02.2014

გაცემის თარიღი : 01.04.2014

გაცნობის თარიღი : 01.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , N 23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1199620 განაცხადის პასუხად სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბარათაშვილის ქ. #23–ში და ჩახრუხაძის ქ. #29–ში სასტუმროს დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობის საკითხი სამსახურის მიერ გადაგზავნილ იქნა „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“–ში, საიდანაც მიღებულ იქნა დადებითი რეკომენდაცია (იხ. დანართი).
ამასთან გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართის შესაბამისი პროცედურების გასავლელად აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა ან რუკა. განაცხადზე ატვირთული ერთი–ერთი მიწის ნაკვეთის #01.18.03.016.014 შესაბამისი საკადასტრო გეგმა, რომელზეც იგეგმება მშენებლობის განხორციელება არ იძებნება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფენაში. აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებლად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარუდგინოთ თქვენი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში) და მოამზადოთ საკადასტრო გეგმა. რის განხორციელების შემდგომ სამსახური შეძლებს საკითხის განხილვას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.